გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განკარგულება N121
2025 წლის 12 სექტემბერი

ქ. გორი

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის მე-4 კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ

„გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 14 ნოემბრის №1 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 50-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად საკრებულოს საქმიანობის კვარტალურ სამუშაო გეგმას ადგენს საკრებულოს ბიურო კომისიების სამუშაო გეგმების საფუძველზე, ხოლო ამავე მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად საკრებულოს სამუშაო გეგმა დგება კვარტლების მიხედვით. საკრებულოს ყოველი კვარტლის ბოლო მორიგ სხდომაზე შეიტანება საკითხი მომდევნო კვარტლის სამუშაო გეგმის პროექტის დამტკიცების შესახებ. ზემოაღნიშნულის საფუძველზე და იმის გათვალისწინებით, რომ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიურომ, კომისიების სამუშაო გეგმების საფუძველზე შეადგინა საკრებულოს კვარტალური გეგმა, საჭიროა დამტკიცდეს გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის მე-4 კვარტლის სამუშაო გეგმა.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-19 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის და 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტის შესაბამისად:

1. დამტკიცდეს გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის მე-4 კვარტლის სამუშაო გეგმა №1 დანართის შესაბამისად (თან ერთვის 3 ფურცლად).

2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი ქ. გორი, სერგო ჯორბენაძის ქ. №30).

საკრებულოს თავმჯდომარე **დავით რაზმაძე**

დანართი №1

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის მე-4 კვარტლის სამუშაო გეგმა

№	განსახილველი საკითხი	შესრულების დრო	საკითხის მომზადებაზე პასუხისმგებელი პირი
1	გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო,საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის მიერ 2025 წლის იანვრიდან მიმდინარე პერიოდამდე შესრულებული სამუშაოს ანგარიში	*ოქტომბერი*	*სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისია* **ლეილა მამულაშვილი**
2	გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვის, განათლების, სპორტის, კულტურის და სოციალურ საკითხთა კომისიის 2025 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიში''	*ოქტომბერი*	*ჯანდაცვის, განათლების, სპორტის, კულტურის და სოციალურ საკითხთა კომისია* **გიორგი გოგშელიძე**
3	1.ა(ა) იპ გორის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სააგენტოს 2024 წლის ოქტომბრიდან განვლილი პერიოდის ანგარიში გაწეული საქმიანობის შესახებ. 2.გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის 2025 წლის იანვრიდან განვლილი პერიოდის ანგარიში გაწეული საქმიანობის შესახებ	*ოქტომბერი*	*სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისია* **მანუჩარ ლაფაჩი**
4	გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის ,ბუნებრივი რესურსების,აგრარულ და მიწის საკითხთა კომისიის 2025 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიში	*ოქტომბერი*	*ქონების მართვის ,ბუნებრივი რესურსების,აგრარულ და მიწის საკითხთა კომისია* **მერაბ მელანაშვილი**

5	გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის ანგარიში 2025 წელს გაწეული მუშაობის შესახებ	*ოქტომბერი*	*საფინანსო-საბიუჯეტო კომისია* ***ასმათ ტალახაძე***
6	ა(ა)იპ გორის მუნიციპალური ინსპექციის 2024 წლის ოქტომბრიდან მიმდინარე პერიოდამდე გაწეული საქმიანობის ანგარიში	*ნოემბერი*	*სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისია*
7	გორის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების კულტურის,სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის 2025 წლის განვლილი პერიოდის ანგარიში	*ნოემბერი*	*ჯანდაცვის, განათლების, სპორტის, კულტურის და სოციალურ საკითხთა კომისია*
8	ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის სააგენტოს 2025 წლის ნოემბრიდან განვლილი პერიოდის ანგარიში გაწეული საქმიანობის შესახებ	*ნოემბერი*	*სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისია*
9	გორის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახურის ქონების განყოფილების 2025 წელში გაწეული მუშაობის ანგარიში	*ნოემბერი*	*ქონების მართვის ,ბუნებრივი რესურსების,აგრარულ და მიწის საკითხთა კომისია*
10	გორის მუნიციპალიტეტის 2025 წლის მესამე კვარტლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში	*ნოემბერი*	*საფინანსო-საბიუჯეტო კომისია*
11	გორის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის 2024 წლის ნოემბრიდან მიმდინარე პერიოდამდე გაწეული საქმიანობის ანგარიში	*დეკემბერი*	*სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისია*

12	ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სააგენტოს 2025 წლის აპრილიდან განვლილი პერიოდის ანგარიში	*დეკემბერი*	*ჯანდაცვის, განათლების, სპორტის, კულტურის და სოციალურ საკითხთა კომისია*
13	ა(ა)იპ მიუსაფარი შინაური ცხოველების მართვის შიდა ქართლის ინტერმუნიციპალური სააგენტოს 2025 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიშის შესახებ.	*დეკემბერი*	*სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისია*